

572  
1986

ISSN 0132-5965  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# საბავშვო

1986 წლის № 4



# სურა



მიხაილ ჯოზფანიძე

მხატვარი თეიმურაზ ფხიკიძე

რვა წლის ლენინს ერთი უყმური რამ გადახდა თავს, უსიამო შემთხვევა, რომელიც შემდეგ, კარგა ხნის მერე, მოგვითხრო ლენინის უფროსმა დამ — ანა ილიას ასულმა. პატარაობისას ვალოდია ცელქი და ეშმაკის ფენი ყოფილა, მაგრამ, ამავე დროს, მეტისმეტად ალაღმართალი იყო თურმე, თავის დღეში არ იტყოდა ტყუილს და, თუ ცელქობით რამეს დააშაებდა, უმაღლე აღიარებდა.

ერთხელაც იყო, სწორედ ასეთი რამ შემთხვა. მამასთან და თავის დაიკოებთან ერთად ვალოდია ყაზანს გაემგზავრა, სადაც ერთი მათი ნათესავი — დეიდა ანია ცხოვრობდა.

თავის მხრივ, დეიდა ანიასაც ჰყავდა შვილები — ბიჭუნები და გოგონები, რომლებიც ლენინს დეიდაშვილებად ერგებოდნენ.

მშვენივრად გაატარეს დრო: იანცეს და იგიჟმაჟეს, რა აღარ ითამაშეს, სირბილით აიკლეს იქაურობა. ამ წიოკობაში რომელიღაც მათგანი პატარა მაგიდას გამოედო და მაგიდაზე მდგარმა სურამ ჭირი მოგჭამათ — იატაკზე ჩამოვარდა და დაჰმისხვრა. რა ექნათ, თამაში იყო ასეთი — სულ თავქუდმოკლეჯილი დასდევდნენ ერთიმეორეს; ჰოდა, ვალოდია ამ პანია მაგიდას გა-

მოედო, ლამაზი ბროლის სურა ერთი კი შეტორტმანდა, მერე იატაკზე გადმოპირტვავდა და დაიმტვრა.

ისეთი ალიაქოთი იდგა ოთახში, ბავშვებმა ისიც ვერ შეამჩნიეს, თუ ვინ გატეხა სურა. სულმოუთქმელად დასდევდნენ ერთმანეთს, მაგრამ როცა დამსხვრეული სურა თვალში მოხვდათ, მაშინ კი გონს მოეგნა და დაშოშმინდნენ.

ერთიც ვნახოთ და ოთახში დეიდა ანია შემოვიდა. ბავშვების ყიჟინაში ჭურჭლის წკრილი და ჭახუნი შემოესმა თურმე და დაინტერესდა, რა მოხდაო. როდესაც იატაკზე დაფშვნილ-დამსხვრეული სურა დანახა, იკითხა:

— ბავშვებო, რომელმა გატეხეთ სურა?

ყველანი ერთხმად აყაყანდნენ: მე არ გამიტეხავს, მე არაო! ვალოდიამაც ასე თქვა, მე არ მიქინაო, მაგრამ ისე ჩუმად წაიღულუნა, ძლივს გაიგონებდა კაცო.

იცრუა. იცრუა იმიტომ, რომ თავიდანვე შიშმა შეიპყრო: რაც უნდა იყოს, სხვისი სახლია, სხვისი ბინაა და დეიდა ანიაც ხეირიანად ვერ მცნობსო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვალოდია ხომ ყველაზე პატარა იყო ბავშვებს შორის! ამიტომაც გამბედაობა არ ეყო და არ აღიარა, მე ვატეხეო.

579  
1986  
საქართველო  
1986

მაშინ დეიდა ანია მ თქვა:

— თქვენ რომ დაგიჯეროთ კაცმა, სურათა თვისით გამტყუდარა. მობეზრდა, ალბათ, მაგიდაზე ტყუილუბრალოდ ყურყუტი, ადგა და ძირს გადაეშვა, არა?

ბავშვებმა გაიცინეს და დაუდასტურეს:

— ნამდვილად აგრეა. სურას ეტყობა, ჩვენთან ერთად მოუნდა თამაში, ამიტომაც ისეკუპა მაგიდიდან იატაკზე, მაგრამ დაავინყადა ამ საცოდავს, შუშისა რომ იყო, და დაიმსხვრაო.

ისევ გულიანად ახითხითდნენ ბავშვები მხოლოდ პატარა ვალოდიას არ გასციენებია, გავიდა მეზობელ ოთახში და ფანჯარასთან დაჯდა ვალურსული. იჯდა თავისთვის და რალაცას ფიქრობდა. მხოლოდ საღამოოყამს გაერია ისევ ბავშვებში.

ორმა თვემ განვლო ამ ამბის შემდეგ. ყაზანიდან კარგა ხნის წასულები იყვნენ ულიანოვები და ისევ თავიანთ ქალაქ სიმბირსკში ცხოვრობდნენ არხეინად.

და აი ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც ბავშვები ლოგინში წებოდნენ, დედა ვალოდიას საწოლს მიადგა და რას ხედავს — ბიჭი მწარედ ქვითინებს.

— რატომ ტირი? — ჰკითხა დედამ.

ბავშვმა სლუკუნით მიუგო:

— დედი, ყაზანში რომ ვიყავით, ერთხელ დეიდა ანიას ტყუილი ვუთხარი, სურა მე არ გამიტყხავს-მეთქი. სინამდვილეში კი მე გავტყეხე.

დედამ ანუგეშა:

— არაფერია, ნუ ტირი. გავუგზავნოთ დეიდა ანიას წერილი, რასაც ამბობ, ისიც მივწეროთ და უეჭველად გაპატივებო.

— იცოდე, აუცილებლად მისწერე დეიდა ანიას წერილი! მისწერე, რომ მე გავტყეხე ის სურა.

დედამაც ისევ ანუგეშა, მივწერ, დარდი ნუ გექნებო. მაშინ ვალოდიაც ჩაწყნარდა და ჩაიძინა. დედა მიძინებულს ეამბორა, პატარა ვაყვაცის საბანი გადააფარა და გაიფიქრა: რა საოცარი ბავშვია, რა უცნაური — მთელი ორი თვე ეს ამბავი უტრიალებდა ტვინში და თავის თავზე ბრაზობდა, მაშინ რომ ურცხვად იცრუა. ახლა კი, როდესაც აღიარა და სიმართლე თქვა, გულზე მოეშვა და ძილშიც კი სახეზე ღიმილი აფენიაო.

მეორე დღესვე მისწერა დედამ წერილი დეიდა ანიას და მისგანაც სულ მალე მიიღეს პასუხი: ოდნავადაც არ ვარ გაბრაზებული საყვარელ დისწულზე და ერთი სული მაქვს — კიდევ როდის მესტუმრებო.

თარგმანი ვიქტორ ზარნაძემ

20881



ქ. სსრ კ. შარკისი  
სახ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

# კოსმოსაჲი

როცა სწავლას მოერჩები,  
როცა სახლში მართო ვარ,  
საბავშვო დროებით  
ვიწუებ კოსმონავტობას.  
მინდა ზეცას გავანდო  
ჩემი გულისხანდები,—  
მთვარეჲ, როგორ გიკითხო,  
შუა რიგად ბრძანდები?



# ოჯახი

ჩემი გულის სისარულს  
ლექსად ვაქცევ დღეიდან,—  
ერთად უნდა ვადიდო:

დედა,  
ბებო,  
დეიდა!

შუე სინათლით იცნობა,  
უკეთესი რა გინდა,—  
გაუმარჯოს ბიცოლას!  
გაუმარჯოს მამიდანს!  
ბიძა-ბიძაშვილები,  
მმისწულები და მამარი,  
მმისწულები და მამარი  
დისწულები აქვართ.

მთელი სანათესაო,  
გაქვს დროებოდ გაშლილი,—  
აი, ჩვენი ოჯახი,  
აი, ჩვენი კავშირი!

10881

# აქ ახალია, ძველია

აბა-ღელია, დელია,  
არ ახალია, ძველია,—  
დათვი რომ დუღღუნს დაიწეებს,  
ის დათვი დასაბძელია!  
აბა-ღელია, დელია,  
არ ახალია, ძველია,—  
უნა რომ ათავთავდებს,  
ის უნა მოსამკელია!  
აბა-ღელია, დელია,  
არ ახალია, ძველია,—  
ვინც წიგნი არ შეიყვარა,  
მასთან ბანსი მნელია.  
აბა-ღელია, დელია,  
არ ახალია, ძველია,—  
დედანსამშობლო ამ ძველად  
ვევლასე საეუარელია!



## საქართველოს საღივებლო

ამოიღვა ენა წყარომ,  
დახეთ, აპრილს რა უქნია,—  
მთებზე ია-ია ხარობს,  
თოვლი სულ მთლად გაუქრია.  
უოველ კვირტში მზე ინთება,  
თაფნება და მხიარული,—  
საქართველოს სადიდებლად,  
საქართველოს სიეგარულით!

## ყაყაჩო

ჯეჯილ-ჯეჯილ, ენა-ენა  
გაზაფხულმა მომიეგანა.  
მზე მიქსოვდა წითელ კაბას,  
ზურმუხტიისფერად მთვარე მლამბავს,—  
თუ არ მომწვევტ, მოკიევები  
ჩემი დაბადების ამბავს.

# მოზრინდით, ოვოვო და გუგულო!



ქართული  
წიგნების  
კავშირის  
სამხარეთო  
კავშირის  
სამსახური

რედაქცია იანაიშვილი

მხატვარი ილუზია ავალიანი

გაიღვიძებს ბაკური, გადაკოტრიადგება დო-  
გინზე და დაიძახებს:

- გაუმარჯოს!
- გაუმარჯოს! გაუმარჯოს! — გაღვიძებული  
მობრუნდება ბებია, — გაიღვიძა ჩემმა ოქრომ?
- არა, მძინავს, — თვადებს ხუჭავს ბაკური.
- ღმერთო, შენ გამიზარდე ჩემი ყოჩალი ბი-  
ჭო! — ხელებაწვეული ვეფერება ღმერთს ბებია.
- მე ყოჩალი ბიჭი არა ვარ.
- რატომ, გენაცვადე, რატომ?
- იმიტომ.

ერთხელაც გადაკოტრიადგება ბაკური, ხელებ-  
გაშლილი გადაწვევა გულაღმა, მუცელს ამობე-  
რავს, დოყვებს გამობუშტავს, ამოიქშენს და და-  
ბოხებული ხმით ამბობს:

- მე დევი ვარ.
- უიმე!..
- ჩემი შიშით ჭიანჭველაც ვერ დაღის ქვე-  
ყანაზე.
- ვერ დაღის, გენაცვადე, ვერ დაღის. აბა,  
ჩავიცვათ და გავიღეთ გარეთ, ჭიანჭველებიც  
ნახოთ და ჩიტებიც.

ბებო ლამის პერანგს ააძრობს ბაკურს, ტიტ-  
რიკანა ბაკური კედელს მიეყუდება ზურგით.

- მე ჩაცმა არ მინდა.
- რატომ, კაცო, რატომ?
- დევეებს ტანსაცმელი არ აცვიათ.
- ვინ გითხრა, შვილო?! ბანჯგვილიან დევეებს  
არ აცვიათ, შენისთანა ბროლიები კი უტან-  
საცმლოდ როგორ გაივლიან, კოლოები და ბუბები  
დასტამენ.
- დევეებს დასტამენ?
- ჰო, ჰო!
- კოლოს ხომ შეც მოვკლავ. დაგატყდაპებ  
სიღას და გაიჭყლიტება.
- შენ სპილოსაც მოკლავ.
- სპილოს ვერ მოვკლავ.
- რატომ, კაცო?!
- სპილო ცოლია.
- უიმე, როგორ დამევიწყდა!
- სპილო კარგია, სპილოს ბავშვები ასხდე-  
ბიან და დაჰყავს.
- დაჰყავს, მაშ! ჩქარა ჩაიცვი, ჩქარა, რომ  
ოფოფმა არ დაგძრახოს.



— როგორ დამძრანავს?  
 — წაგა, დამაბ გოგოებს ეტყვის, ბაკური ტიტლიკანაა, ბაკური პირდაუბანელია, დამაბი გოგოები კიდეც ბრანწს გაგვიკეთებენ.  
 — როგორ გამოკეთებენ ბრანწს?  
 — აი, ასე.—ბებიია ცხვირზე ცერა თითს მიიღებს, სხვა თითებს კიდეც გაფარჩხავს და ააქანავებს.  
 — დამაბ გოგოებს ვცემი.  
 — უიმე! ცემა როგორ შეიძლება, კირიმე! დამაბ გოგოებს უნდა აკოცო.  
 — არ ვაკოცებ.  
 — ნუ აკოცებ. მხოლოდ არა სცემო.—ბებიია სწრაფად აცემებს ხადასხა და შარვალს.—ახლა ფეხსაცმელებიცი... მეგრე პირის დამანაც და... ველარც ოფოფი დაგძრანავს, ველარც გუგულო.  
 — აბა, სად არიან ოფოფი და გუგულო?  
 — ახლა ვენახებში არიან, იქ მომუშავე დიდებს ათვადიერებენ, პირდაუბანელი ვინ არისო.  
 — ვინც პირდაუბანელია?  
 — ოპ-ოპ! ოპ-ოპ! რას გაგხარო, დაიძახებს ოფოფი. გოგო! გოგო! მოხედე ერთი, რას გაგს ეს პირდაუბანელიო! აპყვება გუგულოც.  
 ბაკურს ეცინება.  
 — როგორა, ბებო?  
 — ოპ-ოპ! ოპ-ოპ! რას გაგხარო! გოგო! გოგო! მოხედე ერთი, რას გაგსო.  
 მორჩა, ბაკურმა ფეხსაცმელებიცი ჩაიცვა. ბებოს ახლა ეზოში ჩაპყავს, ონკანთან, პირი უნდა დაბანოს.  
 — ჯერ არ მიწდა, ჯერ არა!—უკან იწევს ბაკური.  
 — უიმე, რას ამბობ, აგერ, სადაცაა დაიძახებს კიდეც ოფოფი.  
 — დაიძახოს.  
 — არა, შემოგვედ, არა.  
 ბებიია ხედებს ბანს. თან წყაღს ეუბნება:  
 — წყაღო, შენ წაიღე ჩემი ბაკურის სურღო, ხეგდება, კირიგვულობა.  
 სახეზეც რომ მოუსვამს წყლიან ხელს, იქაც მიასოდებს:—გაბარდე, გაახარე, დე-მამა უცოცხლე!—და მორჩა. რბილად უმზრადებს სახეს და ხედებს პირსახოციოთ.  
 — ახლა დავარცხნა და მთლად მორჩა!  
 — დავარცხნაც არ მიწდა.  
 — უიმე, დამიგდა თვადი, დაუვარცხნაოთა სულ არ შეიძლება. კოპწია ოფოფი, სავარცხელი რომ ადგას თავზე, ხომ გადაირვია!  
 ბაკური მორჩილად უშვერს თავს.



— აბა! ეს არის სულ! ახლა ნულარავისი გეშინია. ნულარც ოფოფის, ნულარც გუგულისა და ნულარც დამაბი გოგოსო.  
 — დამაბ გოგოს წინდს ამოვარტყამი.  
 — უიმე, ეგ რა თქვი! ვაჟკაცმა კაცმა ეგ რა თქვი! ეგ აღარა თქვა, გენაცვალე.—ბებიია ჩაიხრება, ცივ შუბლზე აკოცებს.—წადი ახლა და მხეს ერგენე, გაუხარდება, გვეთი დამაბი ბიჭი რომ ხარ.  
 ბაკური მორცხვი ლიმილით მიდის მზისკენ. გაგა, გაჩერდება და შესციინებს მხეს. თან იციინის, თან თვადებს ხუტავს.  
 მხეს უხარია, უხარია...  
 აბა, ვის არ გაუხარდება პირდაბანილი, დამაბად ქოროგავარცხნილი ბიჭის დანახვა.  
 — ეე!.. მოფრინდით, ოფოფო და გუგულო!—იძახის ბაკური.  
 ცოტაც, სულ ცოტაც და საცაა გამოჩნდება იან ოფოფი და გუგულოც.

# უიო გოზიგანის

## დაცნადაცნის

120

## ნაწილთაში



### გაგზნო გუნის მასაიღებდა

ერთხელ, ადრეულ გაზაფხულზე, უკვე მოხუცებული შიო მღვიმელი რუსთაველის გამზირზე მიაბიჯებდა. უცებ უცნობმა გოგონამ მიიბრინა მასთან და ია გაუწოდა, ინებეთ, ძია, იაო.

ეს უძვირფასესი ძღვენი იყო იმ ადამიანისათვის, ვინც თავისი არსებობის მიზნად თვლიდა ბავშვების განსწავლას, მათში სიკეთისა და კაცთმოყვარეობის თესლის გაღვივებას, მათი სულისა და გულის წვდომას და გაფაქიზებას. შიო მღვიმელმა ლექსიც დაწერა იმ გოგონას ძღვენად.

...კვლავ დავესწარი გაზაფხულს,  
ყვავილთა გაშლა მიამა,  
მერცხალმა შემომოქიქოკა,  
ია მომიძღვნა იამა...

მას შემდეგ კიდევ მხოლოდ ერთხელ შეესწრო გაზაფხულს შიო მღვიმელი... თურმე ერთმა ოთხი-ხუთი წლის ბავშვმა, მისი გარდაცვალება რომ გაიგო, გულამომჯდარმა თქვა: „საწყალი ძია შიო, ვინლა დაუწერს ბავშვებს ლამაზ ლექსებს?!“

ასე დაადო პატარა ბავშვმა ნაღდი ფასი შიო მღვიმელის სიკეთეს და გულითადობას, ასე გამოთქვა ყველა ქართული ბავშვის სათქმელი. პოეტი შიო მღვიმელი ხომ ყველა ბავშვისათვის უბრალოდ ძია შიო იყო—

თითქოს შინაური, ახლომდებარე... „ძია“... მისი „ლაშაზი“ ლექსები რომ ყველა ბავშვის ცხოვრების ნაწილი იყო—სადა და გრძნობით სახესე მშობლიური აღერსივით. სადა და გრძნობით სახესე სიტყვებით ძია შიო დიდ, აზრიან სათქმელს ეუბნებოდა ბავშვებს, რას არ ასწავლიდა—ბუნების წესსა და რიგს თუ კაცთმოყვარეობას, ხალისიან შრომას თუ გონიერულ თამაშ-გართობას...

100 წლის წინათ, როცა ჯერ „მღვიმელი“ არ გამხდარიყო შიო ქუჩუკაშვილის ფსევდონიმი, დაიბეჭდა პირველად მისი ლექსი და მას შემდეგ მოედინება ის ბავშვთა გულებისაკენ „ჩქაფუნით მშვენიერთა“. როგორც მოწყურებული ყვავილები ყუფუნა წვიმას, ისე ელოდნენ ქართველი პატარები „ძია შიოს“ ლექსებს. და ისიც დაუხანებლად, დაუხარებლად აწვდიდა მათ ყველაზე მშვენიერი ადამიანური გრძნობებით სახესე ლექსებს. უნერგავდა სიბრაღულს ღარიბ-ღატაკისადმი, ვინც ცისმარე დღე მუშაობდა, მაგრამ ვაჭირვებას თავს ვერ აღწევდა.

„ღმერთო, მეც ვადმომხედვი  
ერთხელ წყალობის თვალითა,  
თორემ ყელთამდე ავივსე  
ცოდ-შვილის ცოდო-ბრაღითა.“

ეს სიტყვები მერე ხალხური „ურმულის“ ჰანგს შეუწყვეს, და ლეგენდად ქვეული, ტკბილხმოვანი სანდრო კავსაძის შესრულებით შემონახულიც არის მაგნიტოფირზე ჩაწერილი.

სიბრაღულზე გეუბნებოდით... ვისაც შიო მღვიმელის „პაწია მერცხალი“ წაუკითხავს, განა იმას როდისმე მოუბრუნდება ხელი, ქვა აიღოს და ჩიტს ესროლოს?!

მე პაწია მერცხალი ვარ,  
მოქიქიკე, მოალერსე,  
ნეტავი რა დაგიშავე,  
ქვებს რომ მესვარი, ბიჭო, სესე!

ანდა გაიხსენეთ ჩიტო-ჩიორა და ჯერ სიბრაღულით ჩაგფუფქვებთ გული, მერე ძალადობის წინააღმდეგ ბრახით და ტკივილით აგიჩქოროლდებათ:

— ჩიტო, ჩიტო ჩიორაო!  
— რაო, ბატონო მელაო...



აბა წაიკითხეთ ლექსი „ღვლა კაბას უკერავდა“, ან „გულითადი თხოვნა“, და ვერასოდეს გულგრილად ვეღარ აუვლით გვერდს ობოლს და გულღაჩაგრულს.

აბა წაიკითხეთ პოემა „ოქროს თავთავი“ და ენახეთ, თულა ჩაწიხლავთ კიანჭველების ბუდეს, თუ არ მიეშველებით უძღლურსა და ბეჩავს...


რამდენ რამეს გასწავლით შიომღვიმელის ლექსი! აი ტყე—„მრავალშტოფოთღებინანი, ნიაქთან წყნარი, ქართან კი ამყოლ-დამყოლი, ხმინანი.“ აი მისი წყაროების ჩუხჩუხი და ჩქაფაჩქუფი, მისი სიცოცხლის მომცემი, ჯანმრთელი ჰაერი. ის რომ არ „იფოთქებოდეს“, რა ვშველებოდათ ირემს—„ქობუდინასა, ჩინანსა“; „დავერცხლებულ“ ბალახს დაწაფებულ შვლესს, ტყის სხვა ბინადარ ცხოველ-ფრინველებს...

...ჰოდა, გაუფრთხილდით ტყეს! აი წელიწადის თვეები. დაიმახსოვრეთ, რომელი რით არის შესანიშნავი. დაიმახსოვრეთ მათი ძველი სახელებიც: თიბათვე, მკათათვე, შაროკისთვე, ვეკენისთვე...

არიფანა იცით რა არის? მგობრული ნადიმი, როცა „ზოგს დო გამოუტანია, ზოგს—ქინჭარი, სატაუური, ზოგს—მკაღბურა, ზოგს—ხმიანი, ზოგს—კაკალა თონის პური,

როცა „ყველა ერთად შეგქცევა, ყველა ერთად მხიარულობს“ და „არ ერჩევა ამათ შორის არც ობოლი, არც საწყალი“.

მგობრობაც კარგია, მხიარულება და ონაერობაც, საქმიანობაც. აბა, კაკლის ბერტყვისას მიეხბარეთ უფროსებს და ნახეთ, როგორ გაერთობით—ზოგს კაკულა კოსროში მოხვდება, ზოგს—ზურგზე; კროლა კაკლის ჩხრიალი ხომ ისეთი სახალისოა, რომ რაღა



თქვენი სიცილ-კისკისი და რაღა ის? აბა თოვლში გადით, გამზიგულდით და თოვლის სახლი ააშენეთ—თუ მერე ნამდვილი ინჟინრობა არ მოგინდეთ! აბა თქვენს პაწაწკუნა დედოფალებს მოუარეთ—ხან ურძეო ჩაი ასვით, ხან რძინი, დაურეცხ-დაუსუფთავეთ, აქამ-ასვით, ასეირნეთ, შემოსეთ, ნანა უმღერეთ, თუ ღედობა არ ისწავლოთ! უსათუოდ ყველაფერს კარგს ისწავლით, რადგან „სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს“. ეს სიტყვები ვაჟა-ფშაველამ თქვა შიომღვიმელზე. ის სიტყვებიც, სათაურში რომ გვაქვს გატანილი: „ბავშვთ გულის მესაიდუმლე“.

ციცინო ზამზამიძე



ინდურებსაც გახარებიათ შენი ღამაზის გაუღითა, სოფელსაც გამოსდგომიხარ კარგის ცოდნით და სწავლით!





ით მე არ ვცვლი ვარდს ეკალში და ვინაწრი მისსა ლხენას, ნურც შენ გასცვლი ნურაფერში სამშობლოს და დედაენას.

# გოგო, გვანდა

## და ჩემი ჩივილი

### გაგვანათილი

გაგვანათილი - ჩემი ლეგენდი.





გეგანი-ნიკა,  
გოგო!



სადაც მისი ჩვენი  
სახლი?  
ოკ, შენ გეგნა  
ხარ?



აჰ, შე  
დაბოგვანი  
გეგნაგანდა  
განსაგანი!



გოგო, რომელი  
ქანაა?  
დაბოგანი გეგნა!



აჰ, გეგანი-ნიკა  
გეგნა!  
აჰ, გეგანი-ნიკა  
გეგნა!



გოგო-ნიკა,  
გეგანი-ნიკა!



გოგო, აჰ გეგანი-ნიკა,  
გეგანი-ნიკა, გეგანი-ნიკა,  
გეგანი-ნიკა, გეგანი-ნიკა!

აჰ, გეგანი-ნიკა?

## პატარა ვასო და ირემი

ირემი ირემს ეძახდა,  
ჩამოვარდნილი ბარადა,  
მეუღლე მტერსა მოეკლა,  
ესეტებოდა ცაღლად.  
ვასო ტუის ბილიკს მისდევდა,  
თოფი გვიდა მხარსედა,  
უსებ ირემი შენიძნა,  
ცრომლი რომ ადგა თვალზედა.  
— მე მონადირე ბიჭი ვარ,  
უნდა დავსოცო მგლებიო,  
— ეს უთხრა,— შენ ხელს არ განსლებ,  
მფარველად განგინდებო.  
მერე ტოლებში ვეებოდა,  
ქორბუდა ვნახე ტეეშიო,  
მაგრამ თოფი არ მისვრია,  
არც ვესვრი თავის დღეშიო...



ვლადიმერ ზარმაძე

## ძილისგულა

რა ხანია ირივრავა,  
მხემაც მადლა აიწია,  
შენს სარკმელშიც იჭეიტება:  
— წამოდექი, გოგო, მშია!  
დვადც გინმობს, შენ კი მანც  
კოტრინალობ როგორც ბურთი,  
ლოგინიდან იხვეწები:  
— დამაძინეთ ხუთი წუთი.  
ვინც ბეჯითი მოსწავლა,  
დილით ადრე დგება მუდამ,  
შენ კი, თუ არ გამოსწორდი,  
დაჯერქმევა ძილის გულა.

## სიზღაპარი

იამ მასწავლავს დიმილი,  
სიცელი—წვართს დენამა,  
წვიმის წკრიალზე თამაში—  
ბაჭიამ ჩემოდენამა.  
ჩიტმა ენაზე მკოცდა,  
ჩამიგალობს თანაო,  
გაუჩამო დამარბენინა  
ნიავდაკრული ენაო.  
ხმა მოდიოდეს გულიდან,  
ცაში მიჰქონდეთ არწივებს,  
უგლი გაცნებდეს სიმღერით,  
დილის ცვრით გადავაცვივებ.  
წვენი მწუროდეს წნორების,  
მიმიგრან, მიმიხლდისონ,  
ცქერა არ დამნატრებოდეს  
ჩემი მზისა და მთვარისა.  
მთას მიმხატოს აწრილმა,  
შურთხმა დამითმოს ბინაო,  
უგავილთა ბუჭი დამწურა,  
ტრის ნისლი გამიფინაო.



მასხარა გორბანელი

## მამა და შვილი

განა მართო ეს კორდი,  
ჩვენი ღელის გადაღმა  
მინდარი რომ გაშლილა,  
სულ მამიკომ გადახსნა.  
გუშინ ფეხზე ადგომა  
დავასწარით ალიონს,  
მამამ მითხრა, ტრაქტორის  
მართვას შეგასწავლით.  
სანიშნოთა შრომისთვის  
ბეგრავურ უქეს მარჯვენა,  
წელსაც გარდამავალი  
დროში მამას დარჩება.




მასხარა ლალა ტატიშვილი

## მეფის ჯიხვი

არხოტის საჯიხვეებში — ტანიის ქალაში მონადირეებმა თოფის ხმით შეშინებული, კლდეში განაბული ჯიხვის თიკანი დაჭირეს და სოფელ ალაში ციცქა გაბუშანურს მიკვარეს. თერთმეტი შვილის მამას ამისათვის არ ეცალა, მაგრამ მაინც დაიტოვა. ფუნჯულა და მშენიერი თიკანი იყო, პირველი დღიდანვე სიამოვნებით მიირთმევდა ძროხის რძეს ხელოვნური სანოვარათი. მალე მიეჩნია საქონელს და დედობილებიც გაუჩნდა. დღე და ღამ მათთან ერთად იყო. თავი-

სიანებს სამოვრებზეც თან მიჰყვებოდა. უცხო საქონელთან შერევა კი არ სიამოვნებდა. ალბათ ჯოგურად მოზინადრებების ბუნებრივი თვისება მემკვიდრულად დაჰყვა. მალე წამოიზარდა. რქებიც გაეზარდა, ხარჯიხვის სახე მიიღო, მაგრამ მაინც არ თამამობდა, ძალღებსა და ადამიანებს კი აღარ ერიდებოდა, თითქოს გრძნობდა, სიყვარულით რომ ეყვრობოდნენ, ანებივრებდნენ, და თვითონაც არ თავებდებოდა. ხანდახან ძალლი თუ შეულრენდა ან ბოჩოლა გაეთამამებოდა, გამონვევას მაშინვე ლებულობდა, უკანა ფეხის წვერებზე — ყალყზე შედგებოდა და რქებს მოუღერებდა, ჯერ აფრთხილებდა, შემდეგ კი არტყამდა და აშინებდა მოზინააღმდეგეს. განსაკუთრებით ბავშვებთან სიასლოვე სურდა. მათთან თამაშის დროს ძალიან ფრთხილად ხმარობდა რქებს, ცდილობდა არ ეწყინებოდა პატარა მეგობრებისათვის. ხშირად სუფრაზე ჩაუზიარდებოდა — ძალიან უყვარდა ხილი და მათი ხელიდან მიირთმევდა მსხალს, ვაშლს, ატამს, ქლიავს, ბალს, შალშავს და მოხარშულ სიმინდს. როცა კი ბავშვებს ხელში ხილს დაუნახავდა, მაშინვე მათთან მივიდოდა, წინ დაუდგებოდა და ხელეში შეჰყურებდა. ჯერ თავს დაუქნევდა, მაჭამეო, თუ არ უნილაღებდნენ, ძალმომრეობას მიმართავდა. დაეტაკებოდა და ხარბს ლუკმას ხელიდან გააგდებინებდა. დიდებისა და ძალლის ნაპირალს კი პირს არ აკარებდა.

ჯიხვს წლები მოემატა, გაიზარდა, დახარდა, ხუთი-ექვსი წლისას ხასიათი შეეცვალა. უფრო გათამამდა, ამაყი გახდა, დინჯად დააბოტებდა საქონელში, უფროსობას ირე-



მხატვარი თამაზ ხუციშვილი



მებდა. თავისიანებში სხვა საქონელს არ უშვებდა, წინ გადაეღობებოდა და ყალყზე შედგებოდა. ყველამ კარგად იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა, თითოჯერ მაინც გამოცდილი ჰქონდათ მისი რქების დარტყმის სიძლიერე, და ვრიდებოდნენ.

სალამო უამს, როცა საქონელი შინ ბრუნდებოდა, გზადაგზა საქონელთან თამაში უყვარდა. ასე იყო იმ დღესაც. ბილიკზე ერთმა ქალაბიჭა დეკეულმა ჭიდაობა გაუბედა. ჯიხვმა ველარ მოზომა, მძლავრად დაარტყა და კლდეზე დააგორა. ოჯახის დიასახლისმა ეს იწყინა, გომურში შეიმწყვდია ჯიხვი და ჯოხით უმონყალოდ სცემა. ამის გამო ჯიხვმა ერთი წელი იავადმყოფა, ბენვიც აღარ გამოიცვალა, გასაწყლდა, გახდა, მოწყინა — აღარც მხიარულობდა, აღარც საქონელს ეთამაშებოდა. ადამიანებისადმი უნდობლობა დასჩემდა. ქალები ხომ სულ შეიძულა, ახლოს აღარ ეკარებოდა. განმარტოვდა, გომურშიც აღარ შედიოდა. თუ შემთხვევით შეწყვებოდა საქონელს, დიასახლისის დანახვაზე ელდასავით გაეარდებოდა გარეთ. შეუბრალებელ დედინაცვალს ვერა და ვერ შეურიგდა. იმ ეზოში აღარ ჩერდებოდა, ერთი მიტოვებული სახლის ბანზე გადასახლდა, იქ ათეუდა ღამეს. ზამთარ-ზაფხულ გარეთ იყო. დილას სოფელზე ადრე იღვიძებდა. ვინემ საქონელს გამოუშვებდნენ, მას უკვე მოკვლილი ჰქონდა სოფლის შემოკარენი. მზის ამოსვლისას ბანზე ერთ ამორჩეულ ადგილას, ბოლო ქვასთან იდგა ან იწვა და ფიქრიანი თვალებით ყოველთვის საჯიხვეებისაკენ იმზირებოდა. თითქოს იქიდან ვიღაც მოუხმობდა, ვიღაცას ელოდა.

ჯიხვმა ზრდა ოთხი-ხუთი წლის ასაკში დაამთავრა, მაგრამ რქების ძლიერი ზრდა ექვსი წლის შემდეგ დაეწყო. კლდეებისკენ ყურებას მოუხშირა, გულისყური იქით ჰქონდა გადატანილი. ოქტომბერი მიიწურა. ჯიხვის კერძილობა დაიწყო. ჯიხვმა გარე-გარე სიარულს მოუმატა, საქონელთან გული აღარ უჩერდებოდა. ნოემბერში იქით ჰქონდა წყემსო ერთი კვირით მიატოვა. შემდეგ ისევ დაბრუნდა. დილას გომურის კარებთან მწოლი ნახეს. გამოსული საქონელს სიხარულით შეეგება, სათითაოდ დაყნოსა, თითქოს მიუაღერსა კიდევ. სოფლის გაღმა პირმხითამდე ფეხათრევით გაჰყვა, სამოვრამდე მიაცილდა და ისევ საჯიხვეებისაკენ გასწია. ამის შემდეგ აღარც გამოჩენილა. ვინ იცის დაბრუნდება თუ არა კიდევ?



# თუთიყუშ ჟაკოს თავბაღასაკალი

მამუა სალუქვაძე

1903 წელი  
1904 წელი

ჟაკმა დოლორეს ტორესთან ერთად მხოლოდ ბასკების მხარე კი არა, კატალონია, ანდალუზია და კასტილიაც შემოიარა. შემოიარა მთელი ლა-მანჩა, ყველა დაბა და ყველა სოფელი,



მხარე უკვედავი დონ კიხოტის და მოკვედავი სანჩო პანსას' მშობელი. ცნობილ ტორეროს მთელს ესპანეთში ყველა იცნობდა სოფლად, ქალაქად და სიხარულით ხვდებოდა ტორესს სიხონი, ლიუგო, ვიგო, მალაგა. მაგრამ ყველაზე ხალხმრავალი და გრანდიოზული გახლდათ მადრიდი, მადრიდს, სიდიდით, ვერც ტოლედოს და ვერც ბარსელონას ვერ შეადრიდით. მადრიდი, ანუ დედაქალაქი, ეწოდა ალბათ სიტყვისგან „მადრე“<sup>2</sup> — ფიქრობდა ჟაკი და არ იცოდა, რომ მადრიდს მაჯრიტს ეძახდნენ ადრე. ჩიტი ვერც პატრონს ველარ იტანდა, რადგანაც ყური ჰქონდა მოკრული, რომ სახელგანთქმულ მემენტო მორეს ორასი ხარი ჰყავდა მოკლული. ჟაკო ყოველი წარმოდგენის წინ ალღუმზე სიტყვით გამოდიოდა: — ნუ მოკვლავთ ხარებს, — სთხოვდა პუბლიკას,

თუმც არაფერი გამოსდიოდა... და ერთხელ ჟაკმა გაბრაზებულმა, განადერის<sup>3</sup> გახსნა კარები, შიგნით შეფრინდა „ოლეს“<sup>4</sup> ქახილით და გამოყარა გარეთ ხარები. კორიდა მაშინ უნდა გენახათ, ფიესტა<sup>5</sup> უნდა გენახათ მაშინ, იმ დღეს, ზოგიერთ მადრიდელს, შიშით, თურმე ჭალარაც გაუნდა თამაში. მაგრამ საღამოს, თურმე სირბილით დაქანცულ ხარებს მოშვიდათ ისე,



რომ როგორც ერთმა, ისე სუყველამ,  
მშობლიურ ფერმას მიმართა ისევ.  
ამ დროს პრეფექტმა ყველა პოლისმენს  
უბრძანა: — დღესვე შეიპყრობთ ფაკოს,  
რადგან ითხოვენ მოქალაქენი,  
რომ დამნაშავემ პასუხი აგოს.  
— უბედურების მომტანმა ჩიტმა  
უნდა დასტოვოს დღესვე მადრიდი! —  
ერთხმად ბრძანებდნენ ქალაქის მერი<sup>6</sup>  
და სან ხინესის არქიმანდრიტი.<sup>7</sup>  
და დოლორესმაც იმავე ღამეს  
ას ოც ქსელად მიჰყიდა ფაკო  
ერთ მონაკოელს, ლოტოს დიდოსტატს,  
ვინმე ფრანჩესკო დონ დელმონაკოს.  
ლოტოს თამამი და დროსტარება  
თუთიყუშს ერთობ ძლიერ ართობდა,  
ყალთაბანდობდა, უსაქმურობდა  
და უდარდელად დანაწარდობდა.  
მაგრამ გაკოტრდა დონ დელმონაკო,  
საუბედუროდ აგო და აგო,  
სახლს და ქონებას ვინ დაეძებდა,  
რაც მთავარია, ნააგო ფაკო.

ჩიტი მოიგო ლოტოს კოჭივით  
მრგვალმა ბატონმა — ბილი ბონერმა,  
უთვისტომო და მოხეტიალე  
იატაკვეშა მილიონერმა.  
და თუთიყუში ახლალა მიხვდა,  
როცა თამამში გავიდა წელი,  
რომ ადვილია დროის დაკარგვა,  
სამაგიეროდ პოვნაა ძნელი.

<sup>1</sup>დონ კიხოტი და სანჩო პანა — დიდი ესპანელი მწერ-  
ლის სერვანტესის (1547-1616) რომანის „დონ კიხო-  
ტის“ გმირები.

<sup>2</sup>მალტე (ესპ.) — დედა.

<sup>3</sup>განადერია — ფერმა, სადაც სპეციალურად საბრძოლო  
ხაზებს ზრდიან.

<sup>4</sup>ფიესტა (ესპ.) — ჭეშია.

<sup>5</sup>პრეფექტი — პოლიციის უფროსი.

<sup>6</sup>მერი — ქალაქის თავი, ქალაქის მმართველი. მერის  
უფროსი.

<sup>7</sup>არქიმანდრიტი — მაღალი წოდების სასულიერო პირი,  
ეკლესიის წინამძღვარი.

მხატვარი სოფიო კინფურაშვილი



# „ԲՈՒՆՆ“ ԼՁՎԱԹՄՅՆԵՐ ԲՆԱԿՆԵՐ

ԲՆԱԿՆԵՐ ԿՈՒՆՎՈՐՈՒՄ

ՄԱՅՄՈՆ ԲԻՆՈՒՄ





საქართველოს  
გაზეთების  
კავშირების  
კავშირების  
კავშირების

საქართველოს ალკა ცუ-ისა და  
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერ-  
თა ორგანიზაციის რესპუბლიკურ  
საბჭოს შტაბში უმცროს-  
კლასელთათვის.

გამოცემის 1928 წლიდან.  
საქ. კ. ცუ-ის გამოცემლობა.

შთავარი რედაქტორი  
მეგრე ნიშარაძე

საბჭოთა კლდე: მუშარდ ბაგო-  
ძაძე, ილია ანთელაძე, ლაბარა ბა-  
გაძე, მარი ღაბიაშვილი, სოლო-  
მონ დეგრაბაშვილი, ლილია  
ბარბაძე, გელა ლოსაბაძე, მუშარდ  
მეგრეშვილი, ჯარბა ნაბიშაძე,  
გიორგი რომიშვილი (სამხატვრო  
რედაქტორი), თენგიზ ხალაშვილი (პე-  
დაგოგი), გივი ღვინჯიანი, გივი შიშ-  
ინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი  
ენდი წირეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,  
სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელა:  
შტ. რედაქტორის 93-41-30, 93-95-15;  
პ/მე. მდივის 93-10-32, 93-95-18; სახმ.  
რედაქტორის — 93-95-18; განყოფილე-  
ბების: 93-95-19; 93-95-17.

გადაცემა საწყოვად 21. 01: 86, ხელ-  
მოწერილი დასაბუღად 25. 03. 86 წა-  
ქალისის ზომ, 60x90/8, ფი. ნაბ.  
ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეჯავთა  
238.

უფლებ ნახტი სომხეთი  
კონსერვაციონისა

«Дилла» («Утро»), ежемесячный  
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Гру-  
зинского Республиканского Совета  
Всесоюзной пионерской организации  
им. В. И. Ленина для младшекласс-  
ников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-  
ства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Энвер Нижара-  
дзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.  
Объем 2,5 печатных листа, тираж  
168.000. Заказ № 238.

შოთა ამირანაშვილი

გაიხსენე, რაღა პეკია  
თვალის კაკლის მოძრავე საფარს  
და ბოლოდან სამი ბეგრა  
მოაკელი სიტყვას სწრაფად.  
განთიადის სხვა სახელი  
მეუწერე მერე გვერდით,—  
უძველესი ქალაქია,  
რომელია, მითხარ ერთი?

1985 წლის № 12 „ღიღუმი“ დაბეჭდილი  
პომეანის ამონახსნა

ამოცანის ამოსახსნელად უნდა ამოვიღოთ ბირთვი ყუ-  
თიდან, რომელსაც „თშ“ აწერია. ვთქვათ, ამოღებუ-  
ლი ბირთვი თეთრია. მაშინ მასზე მეორევე თეთრი იქნე-  
ბა— წარწერები ხომ მცდარია! ამრიგად „თშ“ ყუთში  
ორი თეთრი ბირთვი. რა ფერის ბირთვებია „თთ“ ყუთ-  
ში? ადვილი მისახვედრია, რომ მასში თეთრი და შავი  
ბირთვები არ შეიძლება იყოს. თორემ „შშ“ ყუთში ორი-  
ვე შავი აღმოჩნდება. რაც არ შეიძლება. მაშასადამე,  
„თთ“ ყუთში ორი შავი ბირთვია, „შშ“ ყუთში კი—  
თეთრი და შავი.

ზუსტად ამის მსგავსად გიმსჯელებდით, „თთ“ ყუთი-  
დან ამოღებული ბირთვი შავი რომ ყოფილიყო.



მხატვარი ნანა იოსელიანი

ამ ოთხი გემიდან პირველი (ზედა, მარცხნივ) ძველბერძნული გემია, მეორე (მარჯვნივ)—ეგვიპტური, მესამე (ქვედა, მარცხნივ)—რომაული, მეოთხე—ნორმანდიული. მათგან ერთი განძის კუნძულს შიადგა, ერთი აფრიკაში მივიდა, ერთი—ამერიკაში, ერთი კი უფლო-უკვლოდ დაიკარგა.  
 რა გზებით უვლიათ მათ?